ოქმი:**ო05.37211441**

თარიღი:**24/05/2021**

№ 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2021 წელი, 21 მაისი

ქ.ოზურგეთი

16.30-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ეროდი გორდელაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ.ჩავლეშვილი, ლ.სიჭინავა, მ.ბერიძე, ბ.დოლიძე, ვ.ნიჟარაძე, ვ.ჩხაიძე, თ.ბურჭულაძე, ტ.მგელაძე, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, პ.კიღურაძე, ვ.ბერიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ე.გორდელაძე

კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ , კომისიის წევრებმა იმსჯელეს, აღნიშნეს, რომ პროექტის მიღება მიზნად ისახავს იმ აუცილებელი ცვლილებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედ კანონმდებლობასთან რეგლამენტის სრულ შესაბამისობას და ჰარმონიზაციას, ასევე ხდება გარკვეული დებულებების დახვეწა სამართლებრივი ტექნიკის გათვალისწინებით. პროექტი მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

ეროდი გორდელაძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი